მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2023 წელი, №6

„შეინარჩუნეთ ის განძი, რაც ჯერ კიდევ გაგაჩნიათ“

ცნობილი პერუელი კინოდოკუმენტალისტი რაფაელ ანტონიო გალუეს გარსია, რომელიც „დისქავერისთვის“ ფილმს იღებდა, საქართველოში მოხვდა და თავისი შთაბეჭდილებები არ დამალა. ამის შესახებ ფეისბუქგვერდი „გურჯი ქართველი“ წერს:

„იქნებ ახალს არაფერს გეუბნებით, იქნებ ამგვარი აღტაცება სხვა უცხოელებისგანაც მოგისმენიათ, მაინც უნდა გითხრათ ის, რაც მომწონს. იმასაც დავძენ, თქვენი კუთვნილი განძის ფასი არ იცით, არ უფრთხილდებით იმას, რაც მარტო თქვენ გაქვთ.

აქ, თქვენთან, ყველა კუთხეში თავისებურია ქართული სუფრა, სვანეთში განსაკუთრებულად მოვიხიბლე. თითქმის ხელუხლებად აქვთ ტრადიციები შემონახული, თუმცა ცივილიზაციის გავლენა იქაც იგრძნობა და ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს გენიალურ ფერწერულ ტილოს რაღაც მიაჯღაბნა უხეირო მხატვარმა.

სვანურ სუფრასთან ერთი ბიჭი ამბობდა სადღეგრძელოს. მე მლოცავდა, არც ერთი სიტყვა არ მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი ბგერების ძალას. ისინი იმ ბიჭის გულიდან მოდიოდნენ. მის თვალებში კი ვნახე ჩემი სახე, როგორიც არასდროს მინახავს სარკეში... ჩემს სამშობლოში, პერუში თითქოს სიყვარული და მეგობრობა არა მხოლოდ გრძნობის, არამედ სიტყვის მნიშვნელობითაც გაცვდა. აქ კი სიყვარული და მეგობრობა მთელი ძალით ვიგრძენი. აქ ოჯახის ძალას, მნიშვნელობას, დედის და მამის ფასს მივხვდი. დამიჯერეთ, რაც აქ ვარ, ჩემში რაღაც ხდება, თითქოს გული მთლიანად გადამისხვაფერდა. ასე მგონია, ვალდებული ვარ, რასაც მე ვგრძნობ და განვიცდი, სხვებსაც აუცილებლად უნდა გადავცე საქართველოს გარეთ.

აქ ვივიწყებ ყველაფერს, რაც ოდესმე არ მომწონდა, მტკიოდა. ასე მგონია, სამყაროც კი არ არსებობდა საქართველოში ჩამოსვლამდე. დავდივარ ზოგჯერ მარტო, წვერმოშვებული, მოხეტიალე მოგზაურივით ჩაცმული, არ მაწუხებს ჩემი გარეგნული იერი, რადგან ამერიკისგან განსხვავებით, აქ უმეტესად ისეთ ხალხს ვხვდები, ვისაც ჩემი ჩაცმულობა და იერი კი არა, ღვინოსავით და თაფლივით ტკბილი და ნატურალური სიყვარული აინტერესებს...

ერთს ხელს აუწევ, უცხო აქცენტით ეტყვი გამარჯობას, ჯერ ფარული ეჭვით შეგათვალიერებენ და თუ სამტროს ვერაფერს შეგამჩნევენ, თან გადაგყვებიან. თუმცა აქაურ ახალგაზრდებსაც უცხოური ცხოვრება უფრო ხიბლავთ, მაგრამ მერწმუნეთ, იქ, თქვენგან შორს შინაარსი აღარაფერში დევს, ყველაფერი ზედაპირულად ეფექტურია.

მიუხედავად იმისა, რომ აქაც არის შემოსული დასავლური კულტურა, ცხოვრების ამერიკული სტილი, საბედნიეროდ, ბევრს ჯერ კიდევ არ ავიწყდება, ვინ არიან, საიდან მოდიან, რისი პატრონები არიან... იმათ კი, ვინც ახლაღა გაიტაცა უცხოურმა ყოფამ, ვურჩევ, შეინარჩუნოს ის უდიდესი განძი, რაც ჯერ კიდევ გაგაჩნიათ.

აქაური მიწა თქვენი უძველესი მიწაა, აქაური ბებერი ხეების ჩრდილში თქვენი წინაპრები ისვენებდნენ; ეს ენა, ეს სიმღერა, ცეკვა, ფრესკები თქვენია, ამერიკაში კი ამ ყველაფერს იგონებენ. ერს ხელოვნურად ქმნიან, ანუ იქით მიდიან, რაც თქვენ ათასწლეულების მანძილზე შექმენით“.

ი.წ. „ჩემი ნაკვალევი“

ტრენინგი თემაზე: მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოები

1 აგვისტოს მესტიის მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში, ასოციაცია "მერკურმა" გამართა ერთ დღიანი ტრენინგი თემაზე: მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოები - ფუნქციები, როლი, საქმიანობა.

ტრენინგის მიზანი გახლდათ მუნიციპალური გენდერული საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

შეხვედრაზე მიმოხილული იქნა ორგანიზაციის სერვისები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, როგორც ოჯახის მხარდაჭერის ცენტრში, ასევე ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფარში. დაიგეგმა თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯები და აქტივობები.

მერიაში შეხვედრის პარალელურად მობილური სქრინინგის ჯგუფი მოსახელობას შეხვდა, სადაც ასევე განიხილეს ოჯახში ძალადობის საკითხები სამართლებრივ თუ ფსიქოლოგიურ ჭრილში, გააცნეს მოსახლეობას ორგანიზაციის საქმიანობა და საჭიროების შემთხვევისათვის საკონტაქტო მონაცემებიც დაუტოვეს.

სკრინინგი და შეხვედრა განხორციელდა პროექტის "ქალთა და გოგონათა მდგომარეობის გაუმჯობესება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ნიდერლანდების საელჩოს მიერ.

კონკრეტული პროექტი დაფინანსებულია ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

ტრენინგს უძღვებოდა გამოცდილი ტრენერი, ქალბატონი რუსუდან პაჭკორია.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია ყველას მიუწვდებოდეს ხელი ინფორმაციაზე, რომ ისეთ შემთხვევაში, როგორიცაა ოჯახური ძალადობა, მსხვერპლს იცავს კანონი და მწვავე კონფლიქტის დროს შეგიძლიათ დარეკოთ 112-ზე.

მოგახსენებთ, რომ პოლიციას შეუძლია აამოქმედოს ძალადობისგან დაცვის ერთერთი მექანიზმი-გამოწეროს შემაკავებელი ორდერი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონიძიებები (მოძალადისგან გარიდება, იარაღის ტარების შეზღუდვა, საცხოვრებელ და სამუშაო ადგილთან მიახლოების შეზღუდვა და სხვა).

შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1თვის ვადით. სხვა დოკუმენტს, მაგალითად ხელწერილს, იურიდიული ძალა არა აქვს.

ძალადობის (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, იძულება, სექსუალური, ეკონომიკური) ფაქტის შემდეგ, შეგიძლიათ მიმართოთ ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს დამცავი ორდერის გაცემის თაობაზე, დამცავი ორდერით განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. დამცავი ორდერი გამოიცემა 9 თვემდე ვადით. მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო.

პოლიციის გამოძახების შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლების მიერ ხდება რისკების შეფასება. თუ მსხვერპლისთვის ადგილზე დარჩენა დაკავშირებულია ძალადობის განმეორების მაღალ რისკთან, შესაძლებელია მისი გადაყვანა (თანმხლებ არასრულწლოვან შვილებთან ერთად) შემდეგ დაწესებულებებში:

- თავშესაფარი - მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას და დაცვას.

-კრიზისული ცენტრი - სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მათ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას.. კრიზისულ ცენტრში პირის და მასზე დამოკიდებული პირების განთავსება შესაძლებელია მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრამდე.

ასოციაციას „მერკური“ შეუძლია გაგიწიოთ უფასო დახმარება შემდეგ საკითხებში:

- უსაფრთხო დროებითი თავშესაფარი
- იურიდიული კონსულტაცია
- ფსიქოლოგიური დახმარება
- სოციალური მუშაკის მხარდაჭერა
- გაერკვეთ სიტუაციაში და შეაფასოთ რისკები
- დასახოთ პრობლემის გადაჭრის გზები
- მიიღოთ სხვა ორგანიზაციების/სტრუქტურების დახმარება.
- საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მისამართზე: ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. 6, ბინა 12

ტელეფონი: 574 805 189

საერთაშორისო კლინიკათა ქსელის იმპერიალის „İMPERİAL“ წარმომადგენლობა საქართველოში

ბოლო ათეული წლების მანძილზე, სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის 70% ზე მეტს აქვს ჯანმრთელობის პრობლემები.

მიუხედავად ჯანდაცვის სფეროში არსებული მთელი რიგი საშეღავათო პროგრამებისა, ხშირია შემთხვევა, როცა პაციენტებს ვერ უდგინდებათ სწორი დიაგნოზი. რაც კიდევ უფრო აუარესებს მათ ჯანმრთელობას.

საერთაშორისო კლინიკა იმპერიალის ,,İMPERİAL" - ის წარმომადგენლობა საქართველოში არის ხიდი ქართველ პაციენტებსა და თურქ პროფესიონალ ექიმებს შორის!

წარმომადგენლობის ხელშეწყობით, ინფორმაციული, ტექნიკური და მორალური მხარდაჭერით, შემდეგ კი თურქი ექიმების მაღალპროფესიული და ჰუმანური მიდგომით, არაერთი გამოჯანმრთელებული და ბედნიერი პაციენტი დაბრუნებულა თურქეთიდან საქართველოში.

წარმომადგენლობამ უკვე გახსნა ოფისი მესტიაში, ოფისის წარმომადგენლები დაეხმარებიან ადამიანებს თურქეთში გასაგზავნი დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, კვლევების გაგზავნაში შესაბამის ექიმებთან.

გამგზავრების აუცილებლობის შემთხვევაში, თავად უზრუნველყოფენ: ტრანსფერს, სასტუმროს, თარჯიმნობას და ყველა საჭირო პროცედურას.

მათ შორის:

დანიშნული წამლების შეძენას და გამომგზავრებას საქართველოში.

საოცარ ადამიანურ თანადგომას.

მომსახურება, რომელიც არის სრულიად უფასო:

მეორადი კონსულტაცია პროფესორთა გამოცდილი გუნდისგან, თქვენი დიაგნოზის შეფასების მიზნით სამკურნალო ვიზიტის პროფესიული დაგეგმვა.

ტრანსპორტირების ორგანიზება, სასტუმროს ჯავშანი და განთავსება.

მთარგმნელობითი მომსახურება.

დაწვრილებითი ინფორმაციის შესახებ დაუკავშირდით წარმომადგენლობის მესტიის ოფისის ხელმძღვანელს გაგა ჩართოლანს.

ტელეფონის ნომერი: 595 538 287

გისურვებთ ჯანმრთელობას.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ,,დინამო თბილისსა" და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას შორის

მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრში ,,დინამო თბილისსა" და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას შორის, 5 წლიანი, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს მესტიის მუნიციპალიტეტის მერმა კაპიტონ ჟორჟოლიანმა და დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლის დირექტორმა ლევან

გვანცელიძემ.

საფეხბურთო სკოლის ძირითად მიზნებს და სტრატეგიებს წარმოადგენს :

- რეგიონებში ფეხბურთის პოპულარიზაცია.
- მასობრივი გაზრდა, ფილიალები რეგიონებში და საფეხბურთო სექციები ყველა ქალაქში.
- ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენა, დაოსტატება.
- კორდინირებული საქმიანობა რაიონის თვითმართველობასთან.
- სელექცია
- წელიწადში ორჯერ მწვრთნელების გადამზადება დინამოს აკადემიაში .
- წელიწადში ორჯერ საუკეთესო ფეხბურთელების სტაჟირება დინამოს აკადემიაში.
- რეგიონალური ტურნირების, ფესტივალების ორგანიზება.
- რეგიონალური ნაკრები გუნდების შექმნა.

მესტიაში საფეხბურთო სკოლის დაფუძვნება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში 6 წლიდან 12 წლამდე ასაკობრივი გუნდების ჩამოყალიბებას, რომლებიც გაივლიან სრულფასოვან სწავლების პროცესს.

მესტიის საფეხბურთო სკოლას უხელმძღვანელებს ლიცენზირებული მწვრთნელი, გიორგი გოშთელიანი.

„სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები“

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა მორიგი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია- „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები VII, მიძღვნილი ეთნოგრაფ, პუბლიცისტ, საზოგადო მოღვაწე ბესარიონ ნიჟარაძის 170 წლის იუბილისადმი“.

სამეცნიერო სესია გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ეთნოლოგმა, ქალბატონმა როზეტა გუჯეჯიანმა.

აღნიშნულ კონფერენციაზე გაკეთდა შემდეგი მოხსენებები:

პროფ. როზეტა გუჯეჯიანი- „დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე - ქართული ეთნოგრაფიის სათავეებთან“

პროფ. ლელა ნიჟარაძე- „დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის ცხოვრების გზა“

პროფ. მანანა ლილუაშვილი - „დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“

პროფ. მირიან ხოსიტაშვილი - „სვანეთის ეთნოგრაფია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემებში“

პროფ. ზვიად კვიციანი -„სვანეთის არქეოლოგია - წარსული და თანამედროვეობა“

მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი ბატონი ლევან კიკვიძე- „მედიაციის ინსტიტუტი სვანეთის ტრადიციულ ყოფაში“

პროფ. ეკა ჭკუასელი-„სვანურ ხალხურ რელიგიურ ტერმინთა ანალიზი.

“სამეცნიერო სესიის დასასრულს გაიმართა დისკუსია დამსწრე საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი უახლოეს პერიოდში უმასპინძლებს მორიგ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას!

სიახლე ონკოპაციენტებისათვის

ონკოლოგიური პაციენტებისთვის, სრულფასოვან მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა.

ჰორმონოთერაპია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია და მედიკამენტები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოლოგიურ პაციენტს დაუფინანსდება. მათ შორის არიან ის პაციენტებიც, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია. ცვლილებამდე, მათ აღნიშნული მომსახურებები არ უფინანსდებოდათ. სიახლე შეეხებათ დაზღვეულ ვეტერანებსაც.

აღნიშნული გადაწყვეტილებით, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თითოეული ბენეფიციარისთვის, მათი შემოსავლის მიუხედავად, თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება.

სსიპ ,,აწარმოე საქართველოში" წარმოებადგენლობა შეხვედრა ბიზნეს სექტორთან

15 აგვისტოს, მესტიის მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში, სსიპ ,,აწარმოე საქართველოში" სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლებმა, გამართეს საინფორმაციო შეხვედრა ბიზნეს სექტორთან და დაინტერესებულ პირებთან.

„აწარმოე საქართველო" 2015 წლიდან ფუნქციონირებს და უამრავ პროგრამებს ახორციელებს ბიზნეს სექტორთან ერთად. ცენტრის მიზანია სტარტაპების და მიკრო მეწარმეების ხელშეწყობა.

შეხვედრაზე წარმომადგენლებმა ბიზნეს სექტორს გააცნო საკონსულტაციო ცენრტის ახალი პროექტი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა მეწარმისთვის, მეწარმე სუბიექტს საშუალება ექნება მიიღოს მომსახურება ექვსი მიმართულებით, ესენია:

- გაყიდვები და მარკეტინგი
- საგადასახადო საკითხები
- იურიდიული მიმართულება
- ფინანსები და ბუღალტერია
- ბიზნეს მოდელირება და სტრატეგიის დაგეგმვა
- გაციფრულება

ამ ეტაპზე ზუგდიდში გაიხსნა ფილიალი, რომელიც იმუშავებს საპილოტე მიმართულებით. მთელი ქვეყნის მაშტაბით 2025 წლამდე დაგეგმილია 11 ცენტრის გახსნა.

ცენტრს ექნება სამი ძირითადი ფუნქცია :

1. საკონსულტაციო მომსახურება

• ბიზნესის დიაგნოსტირება, მათი განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა და ზრდაში მხარდაჭერა კონტრაქტორი საკონსულტაციო ორგანიზაციის საშუალებით.

2. ბიზნეს უნარების გაუმჯობესება

• მეწარმე სუბიექტის საჭიროებებზე მორგებული სემინარებისა და ტრენინგების მიწოდება ,ბიზნეს შეხვედრების ორგანიზება.

3. ინფორმაციის მიწოდება, ინფორმაციული ბანკი

- ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება, ბიზნესის მხარდამჭერ მექანიზმებზე (იგულისხმება როგორც აწარმოე საქართველოს ასევე, GITA, RDA, დონორი და სხვა ორგანიზაციების პროგრამების შესახებ)
- სექტორების მიხედვით ბაზრის მოთამაშეების შესახებ დეტალური ინფორმაცია , ასევე სპეციფიკური საქმიანობის მიხედვით საჭირო ნებართვების და ლიცენზიების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.

ათეული წლები ხალხის სამსახურში

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლები ხშირად ეთმობა დამსახურებულ, ღვაწლმოსილ, ღირსეულ ადამიანებს, რომლებიც წლებია უშურველად ემსახურებიან თავის საქმეს და საზოგადოებას. ხშირად გვისაუბრია და კვლავ ვისაუბრებთ ლეგენდარულ ადილარ ჩართოლანზე, ომარ ჭკადუაზე, შამილ ფილფანზე, ლუბა ნიჟარაძეზე..

ვფიქრობ, არ იქნება სამართლიანი, გვერდი ავუაროთ ქალბატონ ლილი ჯაფარიძეს და არ აღვნიშნოთ მისი ღვაწლი სვანეთის მოსახლეობის წინაშე.

ლილი ჯაფარიძე უკვე 58 წელია ემსახურება მესტიის მუნიციპალიტეტს, როგორც სტაციონალურ თერაპიაში, ასევე სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ექიმი!

მან 1965 წელს მესტიის რაიონულ საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა ექიმ ორდინატორად. შემდეგ თერაპიული განყოფილების გამგედ, მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარგში. 1998 წლიდან 2012 წლამდე კი მთავარ ექიმად.

1971-73 წლებში გავლილი აქვს კლინიკური ორდინატურა. 1991 წელს რეფლექსო თერაპიის სრული კურსი კვალიფიციურ პულმონოლოგიაში. განყოფილების პულმონოლოგიაში, განყოფილების გამგეობის ციკლზე ტრენინგები სასწრაფო-გადაუდებელ დახმარებაში და ჯანოს ევროპის რეგიონალური ოფისის ადაპტირებული სასწავლო პროგრამა, ამასთანავე არის სერტიფიცირებული შინაგან სნეულებებში და ჯანდაცვის ორგანიზაციაში. არის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, დაჯილდოვებულია უამრავი სიგელითა და სამკერდე ნიშნით. წლების მანძილზე იყო მესტიის რაიონული საავადმყოფოს პროფ.ადგილკომის თავმჯდომარე, მესტიის რაიონის სახალხო სასამართლოს მსაჯული...

მისი მეუღლე გახლდათ ცნობილი ალპინისტი, ჯუმბერ კახიანი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ალპინიზმის განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

მათი ოჯახი თავიდანვე დიდი სიყვარულით სარგებლობდა საზოგადოებაში.

ლილი ჯაფარიძის პაციენტები მუდამ აღნიშნავენ, რომ გარდა პროფესიონალიზმისა, ის გამოირჩევა პაციენტების მიმართ გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულებით.

ჯერ კიდევ ათეული წლების წინ ქმნიდნენ მესტიის საავადმყოფოს იმიჯს ლილი ჯაფარიძე და მისი კოლეგა ექიმები- ელისო ზურებიანი, ეთერ გუჯეჯიანი, ნუნუ გვიჩიანი, ნუნუ ხვინთელანი, ქეთინო ფილფანი და სხვები, რომელთა შესახებ კვლავ დიდი სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ სტატიებს. დასაფასებელია ასევე ექთნებისა და სანიტრების შრომა, რაც ასევე ცალკე აღსანიშნი თემაა..

29 სექტემბერს ქალბატონ ლილი ჯაფარიძის დაბადების დღეა. ის კვლავ ახალგაზრდული ენერგიითა და სიყვარულით ემსახურება თავის საქმეს. ვულოცავთ მას დაბადების დღეს, ვუსურვებთ ურყევ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და მშვიდობას, რათა კიდევ დიდხანს ახარებდეს პაციენტების, მეგობრების, შვილებისა და შვილიშვილების გულებს.

მესტიის ტექნოლოგიური კვირეული

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივით, მესტიის მუნიციპალიტეტში, კერძოდ ჭუბერში და მესტიაში, 7,8,9,10 სექტემბერს ახალგაზრდებისთვის ტექნოლოგიური ფესტივალის პროგრამა ცხადდება.

პროგრამა ხორციელდება USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, ძლიერი სოფლის პროგრამის ფარგლებში და გულისხმობს მესტიის მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ გამყოფ ზოლთან მდებარე თემებში(ხაიში, იდლიანი,ჭუბერი) ახალგაზრდების დაინტერესებას VR, AI, STEM და ტექნოლოგიური მეწარმეობის მიმართულებით. სამუშაო შეხვედრებისა და პრაქტიკული სესიების სერიები ხელს შეუწყობს მონაწილეებში ტექნოლოგიების პოპულარიზაციას და მათ შორის ახალი ტექნოლოგიური სტარტაპერების აღმოჩენას.

ტექნოლოგიური კვირეულის მთავარი მიზნებია:

• მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში თანამედროვე

ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა;

• მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში ინოვაციური აზროვნების, იდეების შემუშავებისა და სტარტაპის შენების ძირითადი უნარების განვითარება;

• მონაწილეებისთვის VR, AI ინდუსტრიისა და სტარტაპ ეკოსისტემაში მისი გამოყენების პერსპექტივების გაცნობა.

• STEM-ის სწავლების მნიშვნელობა ახალგაზრდების განვითარებისთვის;

• მესტიის მუნიციპალიტეტში და განსაკუთრებით ადმინისტრაციულ გამყოფ ზოლთან მდებარე თემებში მცხოვრები ახალგაზრდა ინოვატორების აქტიურად ჩართვა

საქართველოს ინოვაციურ და სტარტაპ ეკოსისტემაში, რეგიონული სტარტაპების ფორმირების/განვითარების გზით;

• მუნიციპალიტეტში GITA-ში არსებული დაფინანსების შესახებ ინფორმირებულობის

გაზრდა;

• ტექნოლოგიური კვირეულის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების მონაწილეობა

სააგენტოს მიერ ინიცირებულ რეგიონულ საგრანტო პროგრამებში.

მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების გახსნითი ღონისძიება მესტიაში

22 აგვისტოს, მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა მოკლემეტრაჟიანი და მთის ფესტივალის გახსნით ღონისძიებას უმასპინძლა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით, 22 აგვისტოდან 26 აგვისტოს ჩათვლით, მესტიაში გაიმართა მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების მესამე საერთაშორისო ფესტივალი. მაყურებელს საშუალება ქონდა ენახა იაპონიიდან, საფრანგეთიდან, ირლანდიიდან, საუდის არაბეთიდან, ყირგიზეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი მოკლემეტრაჟიანი ფილმები; მთის ფილმების სექციაში კი ნაჩვენები იქნა იტალიიდან, პერუდან, ბელგიიდან, მაროკოდან, ინდოეთიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან და სლოვაკეთიდან ჩამოტანილი სრულმეტრაჟიანი ფილმები.

მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალი გააშუქა საერთაშორისო პრესამ - კანადიდან, ასევე, გერმანიიდან და კორეიდან ჩამოსულმა ცნობილმა კინოპორტალებისა და ბეჭდური მედიის წარმომადგენელმა ჟურნალისტებმა.

ღონისძიება გახსნა ადგილობრივმა ანსამბლმა "რიჰო ", ხოლო კინოჩვენების გახსნითი ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა თეატრალურმა კვარტეტმა.

ღონისძიებას კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი ბაჩო ოდიშარია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები და მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების გახსნითი ღონისძიება მესტიაში

22 აგვისტოს, მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა მოკლემეტრაჟიანი და მთის ფესტივალის გახსნით ღონისძიებას უმასპინძლა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით, 22 აგვისტოდან 26 აგვისტოს ჩათვლით, მესტიაში გაიმართა მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების მესამე საერთაშორისო ფესტივალი. მაყურებელს საშუალება ქონდა ენახა იაპონიიდან, საფრანგეთიდან, ირლანდიიდან, საუდის არაბეთიდან, ყირგიზეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი მოკლემეტრაჟიანი ფილმები; მთის ფილმების სექციაში კი ნაჩვენები იქნა იტალიიდან, პერუდან, ბელგიიდან, მაროკოდან, ინდოეთიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან და სლოვაკეთიდან ჩამოტანილი სრულმეტრაჟიანი ფილმები.

მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალი გააშუქა საერთაშორისო პრესამ - კანადიდან, ასევე, გერმანიიდან და კორეიდან ჩამოსულმა ცნობილმა კინოპორტალებისა და ბეჭდური მედიის წარმომადგენელმა ჟურნალისტებმა.

ღონისძიება გახსნა ადგილობრივმა ანსამბლმა „რიჰო", ხოლო კინოჩვენების გახსნითი

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა თეატრალურმა კვარტეტმა.

ღონისძიებას კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი ბაჩო ოდიშარია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები და მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლების შეხვედრა საქართველოს ქალთა საბჭოს მესტიის ორგანიზაციის წევრებთან

მიმდინარე წლის 23 აგვისტოს, საქართველოს ქალთა საბჭოს მესტიის ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლების გაცნობითი შეხვედრა შედგა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელმა ევა იაკუნიესემ, ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ქალთა უსაფრთხოების შესახებ საკითხები განიხილა.

შეხვედრაზე, საქართველოს ქალთა საბჭოს მესტიის ორგანიზაციის მიერ გაზიარებული იქნა, ორგანიზაციის არსისა და მიზნების, ასევე, ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

მოგეხსენებათ, რომ ქალთა საბჭო საქართველოში 1921 წლიდან იღებს სათავეს.

დღეისთვის ქალთა საბჭო ბევრი კარგი საქმის ინიციატორი და რეალურად გამტარებელია.

ორგანიზაციამ 100 წელი განვლო და ღირსეული ფურცელი ჩაწერა ჩვენი ერის მატიანეში. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში აუცილებელი გახდა ქალთა პირველი მასობრივი ორგანიზაციების, მთავრობის მიერ გამოცემული ქალთა კომიტეტების, ქალთა კლუბების შექმნა და ამას ოფიციალურად იუწყებოდა #23 ცირკულარი.

1921 წ.21 მაისს თბილისში ,,წმინდა ნინოს" სახელობის დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს მშრომელ ქალთა პირველი ყრილობა, რომელიც იყო ინტერნაციონალური და რომელიც ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა განყოფილების გამგის ლიდა გასვიანის ორგანიზებით მოეწყო. შემდგომ წლებში ქალთა განყოფილებას ხელმძღვანელობდნენ მარიამ ორახელაშვილი, ვარო ჯაფარიძე.

1922 წელს განყოფილების ინიციატივით მუსლიმან ქალთა კლუბი დაარსდა თბილისსა და ბათუმში.

1924 წელს კლუბს ეწვია კლარა ცეტკინი. 1929 წელს ბათუმში მაჰმადიან ქალთა პირველი ყრილობა ჩატარდა-ჩადრის ახდის თაობაზე.

1935 წლამდე იარსება კომიტეტებმა. შემდეგ წლებში კი ქალაქებსა და რაიონებში ფუნქციონირებდა ქალთა საოლქო და რაიონული კომიტეტები.

ქალები აქტიურად იყვნენ ჩართული საკოლმეურნეო საქმიანობაშიც.

1945 წელს ქალთა საერთაშორისო კონგრესიდან დაბრუნებულმა ნინო ჯავახიშვილმა დააარსა საქართველოს ქალთა კომიტეტი.

1995 წლიდან საქართველოს ქალთა საბჭო დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია გახდა. აქვს მედალი, დროშა, სიგელი.

ქალთა საბჭოს დღეისთვის ყველა რეგიონში აქვს ქალთა საბჭოები. 24 ქვეყანაში ემიგრანტების ბაზაზე დაფუძვნებული აქვს წარმომადგენლობები, 18 სხვადასხვა ეროვნების ქალთა კომიტეტები თანამშრომლობენ მემორანდუმით.

აღდგენილია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ქალთა კომიტეტები დევნილობისას.

ორგანიზაციას 1945 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ქალბატონი ნინო ჯავახიშვილი.

2012 წლიდან 2019 წლამდე ქალბატონი მზექალა შანიძე, რომელიც 2019 წლიდან დღემდე არჩეული საპატიო თავმჯდომარეა.

ასევე ხელმძღვანელები იყვნენ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები- ზინაიდა კვაჭაზე და ნინო ჟვანია, რომლებიც ქალაქ თბილისის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ .

2019 წლიდან აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე არის ქეთევან გაბრუაშვილი.

2017 წ. სახალხო დამცველის აპარატთან არსებული უმცირესობის საბჭოს მიერ ქალთა საბჭოს მინიჭებული აქვს ,,ტოლერანტის ქომაგის" წოდება.

2019 წ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტს ,,ქალთა საბჭოს საქმიანობა საქართველოში" არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შევიდა და ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

საქართველოს ქალთა საბჭო თავისი 100 წ გამოცდილებით უდიდესი ძალაა სიკეთის კეთების. განვლო რა უდიდესი გზა, ყოველთვის აჟღერებდა პროტესტს იმ საკითხებზე , რომელიც ქალს, ოჯახს, ბავშვის განვითარებას უშლიდა ხელს, სწორედ ამ მიდგომამ შემოგვინარჩუნა ქალთა საბჭო.

ქალთა საბჭოს ძირითადი მიმართულებებია ქალებისა და ბავშვების უფლებების დაცვა, ეროვნული უმცირესობების, მაღალმთიანი რეგიონების ქალებთან მუშაობა, მათი უფლებრივი, ჯანმრთელობის, განათლების, სოციალური, კულტურული და სხვა უფლებების დაცვის მიმართულებები.

ტრადიციული კულტურის ხელშეწყობა და ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენა.

ხელოვან და მეცნიერ ქალთა ღვაწლის წარმოჩენის ხელშეწყობა, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებით.

საქველმოქმედო საქმიანობა, სამედიცინო გამოკვლევები იძულებით გადაადგილებულ დროებით დევნილობაში მყოფ, მაღალმთიან-საზღვრისპირა რეგიონებში, ხანდაზმულთა თავშესაფრებში, ბავშვთა სახლებში და სხვა სოციალურად დაუცველ ადამიანებთან.

ქალთა საბჭოს საქმიანობის ტრადიციის ძირეულად განხილვისას დაასკვნეს, რომ მე-20 საუკუნეში რევოლუციური ძვრებით და მრავალმხრივი ქარტეხილებით აბობოქრებულ საუკუნეში ქალი ასრულებდა იმ როლს, სადაც ღონე და ხმალი უძლური იყო..

საქართველოს ქალთა საბჭოს მესტიის ორგანიზაციის ხელმძღვანელია ქეთევან ხარძიანი.

ქალთა საბჭოს წევრები: სვეტლანა ჩართოლანი, ირმა ჯაჭვლიანი, მაგდალინა გოგოლაძე, ნანა ფილფანი, შორენა ცინდელიანი, მაია ხერგიანი.

ვუსურვებთ წარმატებებს.

ვალმოხდილი კაცის განშორება წუთისოფელთან

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო და საკრებულოს აპარატი ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ღვაწლმოსილი ადამიანის, სვანეთის ინტელიგენციის გამორჩეული წარმომადგენლის, საკრებულოს აპარატის უფროსის- ფირუზ ფილფანის გარდაცვალების გამო.

დავკარგეთ ყველა დროში ყველასთვის კარგად ცნობილი ფირუზ ფილფანი, სამაგალითო საჯარო მოხელე, პასუხისმგებლიანი მოქალაქე და გულანთებული პატრიოტი.

მუდამ საქმეში ჩაფლული, სამართლიანად მკაცრი, ამასთანავე ყველასთვის უფროსი მეგობარი- ასე გაიხსენებენ თაობები მას.

ათეულ წლებს ითვლის ფირუზ ფილფანის წამყვან თანამდებობაზე მუშაობა. მისი სახელი კარგადაა ცნობილი როგორც საჯარო სტრუქტურებში, ასევე ხელოვნებაში, სპორტში.

ფირუზ ფილფანი დაიბადა 1938 წლის 7 ივნისს. დამთავრებული აქვს შრომის წითელი დროშის ორდენის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი, სოფლის მეურნეობის საწარმოოთა ბუღალტერ-ეკონომისტის სპეციალობით.

დამთავრებული აქვს აგრეთვე სახალხო უნივერსიტეტი 1982 წელს და სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი დაგეგმვა-ორგანიზაციის სპეციალობით.

გავლილი აქვს სამხედრო კურსები და მინიჭებული აქვს სამხედრო წოდება უფროსი ლეიტენანტი.

მუშაობა დაიწყო მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორად 1964 წელს, საიდანაც გადაიყვანეს საფინანსო განყოფილების ბიუჯეტის მთავარ ინსპექტორად და საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილედ.

1973 წელს გადაიყვანეს საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად, იმავე წლის დეკემბერში აირჩიეს რაიკომის და რაიკომის ბიუროს წევრად და დანიშნეს მესტიის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად და მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც იმუშავა 1981 წლამდე და უამრავი წარმატებისათვის საკავშირო მთავრობამ დააჯილდოვა -საპატიო ნიშნის ორდენით.

მისი ხელმძღვანელობის პერიოდში მესტიის რაიონში დაინერგა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი ფორმის ოჯახური იჯარა, რომლის განხორციელებაში და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდაში მას დიდი წვლილი მიუძღვის.

ამ დარგის ხელმძღვანელობა იმითაც გართულდა, რომ შვიდ საბჭოთა მეურნეობას შეუერთეს ორი- ხაიშის და მესტიის სატყეო მეურნეობები. აქაც დადებით შედეგებს მიაღწია.

აღნიშნული ორგანიზაციას ფილფანი ხელმძღვანელობდა 1982 წლამდე, რის შემდეგაც გადაიყვანეს პარტიის რაიკომში ახლად გახსნილი სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ. შემდეგ კი დანიშნეს რაიკომში პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ, საიდანაც პირადი განცხადების საფუძველზე გადავიდა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის რესპუბლიკური ფონდის მესტიის განყოფილების გამგედ.

1992 წლის 16 ივნისს გადაიყვანეს საგადასახადო ინსპექციის უფროსად მესტიის რაიონში. აქაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ადგილობრივი გადასახადების მოცულობა ექვსჯერ გაიზარდა.

მესტიაში საგადასახადო ინსპექციის გაუქმების შემდეგ გადაყვანილ იქნა ფოთის საგადასახადო ინსპექციაში, თანამდებობით ფოთის საგადასახადო ინსპექციის მთავარი ინსპექტორი მესტიის რაიონში, სადაც იმუშავა 2006 წლამდე.

იმავე წლის ნოემბერში დაინიშნა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსად.

ის მუდამ მაგალითს გვაძლევდა, მაგალითს დისციპლინის, პასუხისმგებლობის, შრომისმოყვარეობის, მეგობრობისა და ადამიანობის.

ძალიან დაგვაკლდება.

ვწუხვართ და თანავუგრძნობთ მის ძვირფას ოჯახს, ახლობლებს, სრულიად სვანეთს..

უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

დამფუძნებელი:
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი,
სოფო ანსიანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა
შპს. „გამომცემლობა კოლორში"

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
ირმა ჯაჭვლიანი
ელ. ფოსტა:
irmajachvliani1968@gmail.com